სტუ - ს არქიტეტური, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

2018 – 2023 წწ. მოწყობილი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები, კონკურსები, საჯარო ლექციები, ვორქშოფები და ტრენინგები

1.სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტის სალომე მათითაიშვილის პერსონალური გამოფენა. 2018 წლის 13 იანვარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფოიეში გაიხსნა სტუდენტის სალომე მათითაიშვილის ნახატების პერსონალური გამოფენა.

2.„ახალი ბანას“ სამონასტრო-საგანმანათლებლო და კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრი.

2018 წლის 17 იანვარს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მოეწყო პროფესორ-მასწავლებლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა სურამის და ხაშურის ეპარქიის მმართველ-მღვდელმთავარ ეპისკოპოს, მეუფე სვიმეონთან. მეუფე სვიმეონმა დამსწრეებს გააცნო სურამის და ხაშურის ეპარქიაში, ზემო სერას ტერიტორიაზე ახალი ბანას ტაძრის მშენებლობის კონცეფცია. ახალი ბანას ტაძრის საძირკველის საზეიმო კურთხევა მოხდა 2017 წლის 15 ივლისს. მეუფე სვემეონმა სტუდენტებს შესთავაზე სამონასტრო კომპლექსისი კონცეპტუალური პროექტის შემუშავება.

3.საერთაშორისო ვორქშოფი *პოლონელ ურბანისტ პიოტრ ლორენსთან ერთად თემა:* ,,თელავის ცენტრალური მოედანი - საჯარო ინიციატივა, და თელავის გენერალური გეგმის კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბებისთვის“, 2018 წლის 18 -20 იანვარი ქ. თელავი. აიიპი ,,რედ ფონდის,, და შპს ,,ატელიე არქიტექტსის,, ინიციატივით და სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ორგანიზებით.

4.შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან

2018 წლის 24 თებერვალს, 5 მარტს, 15 მარტს, 20 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შეხვედრა დამსაქმებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე მთავარ საკითხად განხილული იქნა ის გამოწვევბი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით დგას არქიტექტურის სფეროში, როგორც სასწავლო ისე პრაქტიკაში მოღვაწეობის კუთხით.

5.პარტნიორობა მეწარმეობისთვის მწვანე მშენებლობის სექტორში

2018 წლის 14 და 16 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მდგრადი განვითარების ლაბორატორიაში შედგა ლექცია, რომელიც წარმოადგენს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო ტრენინგ კურსის ,,მწვანე (მდგრადი) მშენებლობაში“. კურსს გაუძღვა ზაალ ხელაძე, რომლის დახმარებითაც არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შეიქმნა და ფუნქციონირებს აღნიშნული ლაბორატორია. სასწავლო კურსს დაესწრნენ ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები და სტუდენტები.

6. **„ქაღალდის არქიტექტურა და პარამეტრული დიზაინი“** Erasmus+ - სალექციო კურსი, სემინარი და ვორქშოფი არქიტექტურის მიმართულებით

2018 წლის 19–23 მარტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, ეწვივნენ ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის (პორტუგალია) პროფესორები ანტონიო კასტელბრანკო და პედრო მიგელ გომეშ ხანუარიო მათ ჩაატარეს ლექციები არქიტექტურის მიმართულებით. ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევოლუციური არქიტექტურა, ურბანისტიკა, ადამიანის ზეგავლენა ბიოსფეროზე, თანამედროვე ურბანისტიკაში არსებული ხარვეზები და სხვ. პროფესორმა პედრო მიგელ გომეშ ხანუარიომ (Pedro Miguel Gomes Januario) ჩაატარა სემინარი და ვორქშოფი თემაზე: “Paper Architecture and Parametric Design” - პარამეტრული დიზაინი. სემინარი და ვორქშოფი განკუთნილი იყო ფაკულტეტის პედაგოგეგბისთვის და დოქტორანტებისთვის. პარამეტრული დიზაინი დღესდღეობით ერთ ერთი აქტუალური მიმართულებაა არქიტექტურაში. ეს არის მეთოდი შეიქმნას ტექტონიკური სტრუქტურები, ახალი ფენომენალური გააზრება საზოგადოებრივი სივრცეების ქალაქის სტრყქტურაში, რომლის განხორციელება შესაძლებელია სპეციალური კომპუტერული პროგრამების საშუალებით: Sketchup, Riner da Grasshopper.

ვორქშოფის მიზანი იყო პედაგოგეგბის და დოქტორანტების კვალიფიკაციის ამაღლება პარამეტრულ დიზაინში. ესწრებოდნენ ასოცირებული პროფესორები ნუგზარ ხვედელიანი, გურამ

აბულაძე, დავით ბოსტანაშვილი, ნინო ჩაჩავა, ასისტენტ პროფესორი შოთა გელაშვილი, მასწავლებელი გურამ ხოსრუაშვილი, დოქტორანტი ნანა ლეკვეიშვილი, სტუდენტი ირაკლი ფანცხავა.

7.ტრენინგი პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის.

2018 წლის 22 მარტს ევროპის სააქციონერო საზოგადოების გრაფსოფტი – უნგრეთი წარმომადგენლების მიერ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია და ტრენინგი: ARCHICAD 21. ლექცია და მასტერ კლასის მიზანია ტექნიკური ცოდნის პოპულარიზაცია, სასწავლო ცენტრების უზრუნველყოფა პროგრამებით ARCHICAD და თანამედროვე ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში (BIM – Building Information Modeling).

8. „თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების პროექტის“ ბოლო ეტაპის განხილვა.

2018 წლის 29 მარტს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო „თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების პროექტის“ ბოლო ეტაპის განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ პროფესიული საზოგადოების წევრები არქიტექტორები, ექსპერტები და საკრებულოს წევრები. შეხვედრა წარიმართა საქმიან ვითარებაში. პროექტის ავტორებმა დაწვრილებით ისაუბრეს გენგეგმის იდეოლოგიაზე, გამოწვევებზე, პრობლემებზე და გადაწყვეტებზე. 2015 წელს თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერში გამარჯვებული ჯგუფის წევრები არიან სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლები. არქიტექტურის აკადემიური დოქტორი მერაბ ბოლქვაძე, მასწავლებელი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი გივი შავდია(აწ გარდაცვლილი), პროფესორი, არქიტექტურის, მეცნიერებათა კანდიდატი გია შაიშმელაშვილი (გარდაცვლილი), მასწავლებელი დემურ სვანიძე, მასწავლებელი თეიმურაზ ზედელაშვილი, ასისტენტ პროფესორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი მამუკა სალუქვაძე „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ თანადამფუძნებლები და დირექტორი.

9. სტუდენტური კონკურსი: „საუკეთესო ინტერიერის პროექტი“

2018 წლის 29 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო სტუდენტთა დაჯილდოება. ინტერიერის და დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თინათინ ჩიგოგიძის ინიციატივით ჩატარდა სტუდენტთა კონკურსი: „საუკეთესო ინტერიერის პროექტი“. კონკურსის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები II კურსის ბაკალავრები: გიორგი ჩაბალუხა, ელენე ბერძენიშვილი, ნუცა კიკნაველიძე, ჰაროლდ საკიანი, თეო გეგეშიძე, დაჩი მთიულიშვილი. სტუდენტებს საზეიმო ვითარებაში გადეცათ სიგელები.

10. საერთაშორისო პროექტი:„დიდუბის არეალის კვლევა“

2018 წლის მარტს დასრულდა ერთობლივი პროექტი: ქ. თბილისში დიდუბის არეალის კვლევა“. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტები. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2017 წლის 7, 8 და 9 ოქტომბერს, რომელსაც წინ უძღვოდა ვორქშოფი და თემატური ლექციები. პროექტის მიმდინარეობის ამსახველი მასალა მოამზადა ავსტრიულმა მხარემ.

11. თბილისის V საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი–კონკურსი

2018 წლის 1 აპრილს საქართველოს პედაგოგ–ქორეოგრაფთა ასოციაციის (Georgian Teacher-choreographer Association) მიერ ჩატარდა თბილისის V საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი–კონკურსი ფესტივალისთვის გაიმართა ტრადიციული კონკურსი პლაკატზე, ბანერზე და მოსაწვევზე, რომელშიც ზედიზედ ხუთი წელი მონაწილეობას ღებულობენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის ავთანდილ დირმელაშვილის მე–2 კურსის სტუდენტები. კონკურსში გაიმარჯვა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე–2 კურსის სტუდენტმა ელენე ბერძენიშვილმა. მისი შესრულებული პლაკატი პირველი ადგილით აღინიშნა და დაიბეჭდა ფესტივალისთვის. ბანერი და მოსაწვევში გაიმარჯვა მე–2 კურსის სტუდენტმა ნუცა კიკნავალიძემ.

12. შეხვედრა არქიტექტორ გიორგი ბაგრატიონთან

2018 წლის 4 აპრილს 19 საათი 403 ც აუდიტორია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შხვედრა არქიტექტორ გიორგი ბაგრატიონთან. შეხვედრის მიზანი იყო მაგისტრანტების ჩართვა სამეცნიერო–პრაქტიკულ სამუშაოში. კერძოდ: „თბილისის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის ხუროთმოძღვრული

ძეგლების ინტერაქტიული, ისტორიულ–გეოგრაფიული რუქის და საცნობარო–საილუსტრაციო მონაცემთა ბანკის შექმნა“.

13. **გამოფენა „არქიტექტურული კომპოზიცია“**

2018 წლის 12 აპრილს გალერეა „ვანდა“ გაიხსნება სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტთა საკურსო ნამუშევრების გამოფენა: “არქიტექტურული კომპოზიცია“. „არქიტექტურული კომპოზიციის“ მიზანია სტუდენტს განუვითაროს ვიზუალურ–სივრცითი წარმოდგენის უნარი, რაც თავის მხვრივ, არქიტექტურული ობიექტის შექმნის საფუძველია. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 45 სტუდენტმა. თითოეულ სტუდენტს წარმოდგენილი ჰქონდა ოთხი ნამუშევარი: შავ–თეთრი და ფერადი კომპოზიციები, ფორმალისტური ძიებები ორგანზომილებიან სიბრტყეში შექმნილი მარტივი გეომეტრიული ფიგურების წრის, კვადრატის, სამკუთხედის საშუალებით და სივრცული კომპოზიციები. ამავე დღეს მოხდა გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოება. ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი. გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები ვანდა მუჯირი, თამარ ჭანტურია და მარინა მაისურაძე.

14. **გამოფენა: „ასოციაციები“**

2018 წლის 16 აპრილს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მოეწყო „არქიტექტურის თეორიის“ მიმართულების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენის გახსნა და დაჯილდოება. კურსი „არქიტექტურული დისკურსი მოდერნიზმის ირგვლივ“ წამყვანი პროფესორი მაია დავითაია.

15. **სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი: „ თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები.**

2018 წლის 16–30 აპრილის ჩათვლით სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა X სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი: „თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები“. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“–ის მაგისტრანტებმა და პედაგოგებმა.

16. **სემინარი: „მწვანე არქიტექტურაში“**

2018 წლის 17 აპრილს მდგრადი არქიტექტურის განვითარების ლაბორატორიაში, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის შედგა თემატური სემინარი: „ხის კონსტრუქციები“, რომელსაც გაუძღვა ლაბორატორიის ხელმძღვანელი ზაალ ხელაძე. სემინარის ძირითადი მიზანია დავიცვათ სამყარო ეკოლოგიური კატასთროფისგან მდგრადი არქიტექტურის პრინციპების გათვალისწინებით.

17. **შეხვედრა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებსა და არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინის სექტორში მოღვაწე კომპანიებთან - „უნივერიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა“.**

2018 წლის 27 აპრილს, სასტუმრო თბილისი მარიოტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების ორგანიზებით, „უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის“ ფარგლებში, შედგა შეხვედრა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებსა და არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის სფეროში მოღვაწე 30-ზე მეტ კომპანიას შორის. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ.

18. ვორქშოფი თემაზე: **„გარაჟი“ – პოტენციური საჯარ სივრცე ავტოფარეხების გადააზრება, ტრანსფორმაცია და ადაპტაცია“**

2018 წლის 1 მაისიდან – 16 ივნისის ჩათვლით პროექტ „სტუდენტ-არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადის“ ფარგლებში, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა არქიტექტურული ვორქშოფი თემაზე: „გარაჟი“ – პოტენციური საჯარ სივრცე, ავტოფარეხების გადააზრება, ტრანსფორმაცია და ადაპტაცია.

19. **სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“**

2018 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენმნის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პროფესორ გიორგი (გია) შაიშმელაშვილის ხსოვნას.

20. **გერმანულ–ქართული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული პროექტი**

2018 წლის 7 მაისს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ქართულ–გერმანული კომპანიის „ბაზალტ ფაიბერის“ წარმომადგენელი გიორგი გოგოლაძის და

ფაკულტეტის დეკანის ნინო იმნაძის ინიციატივით შედგა შეხვედრა ბავარისს საერთაშორისო არქიტექტურის საბჭოს წევრებსა და ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ ბავარიის არქიტექტურის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი დოქტორი იორგ ჰეილერი, წევრები არქიტექტორები იაკობ ობერპილლერ და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები: გ. სალუქვაძე, ლ.ბერიძე, ნ. ხაბეიშვილი, ი. მურღულია, მ. ბოლქვაძე, გ. გეგელია, ნ. ჩაჩავა და მ. ბარათაშვილი.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენს ერთობლივი პროექტის შექმნა რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ფუნქციის მინიჭებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი სივრცეები, ინკლუზიურობა და ინოვაციური მასალები. ჩართულები იქნებიან ბავარისს არქიტექტურული საბჭო, ქ. რუსთავის მერია და სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

21. სასწავლო – შემეცნებითი ტური კახეთში

2018 წლის 12 მაისს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, ინტერიერის და გარემოს დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორ თინათინ ჩიგოგიძის და სტუდენტების მიერ, საგანმანატლებლო პროგრამიდან გამომდინარე, ორგანიზებული იყო სასწავლო – შემეცნებითი ტური კეხეთში. სტუდენტებმა და პროფესორ–მასწავლებლებმა მოინახულეს: კახური ტრადიციული მეღვინეობის (KTW) ღვინის ქარხანა ველისციხეში და ყვარელში „მეღვინეობა ხარების“ ტურისტული კომპლექსი.

ტურის მიზანია გაცნობა ღვინის ქარხნების ინტერიერის თავისებურების. რაც მნიშვნელოვანია საკურსო პროექტის შესასრულებლად საგანში: „სამრეწველო შენობების ინტერიერის დაპროექტება“.

22. ამერიკისმცოდნეობის მე-19 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

2018 წლის 17 მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში, თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით ამერიკისმცოდნეობის მე-19 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია იხსნება, რომელიც საქართველოში ამერიკისმცოდნეობის დაარსების 20 წლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს ეძღვნება. კონფერენციაში საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები, პროფესორები, სტუდენტები და მკვლევრები მონაწილეობენ. სექცია: „არქიტექტურა“ ტრადიციულად მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორებმა და დოქტორანტებმა.

23. ERASMUS+ Credit Mobility - საერთაშორისო მობილობა პედაგოგებისთვის

2018 წლის 20 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე (პორტუგალია) აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, სწავლების მიზნით იმყოფებოდნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი ნინო იმნაძე და ასოცირებული პროფესორი ნათია ქოჩლაძე. მათ წაიკითხეს ლექცია: „ტრანსფორმაცია არქიტექტურაში“ და „კლიმატის გავლენა ქართული საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბებაზე“. ლექციას ესწრებოდნენ ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრანტები და მათი პედაგოგეგბი: პროფესორები ანტონიო კასტებლანკა და პედრო როდრიგესი. გარდა ლექციისა საგანში: „არქიტექტურული პროექტირება“ ქართველმა პედაგოგეგბმა მონაწილეობა მიიღეს საკურსო პროექტების განხილვაში.

24. საჯარო ლექციები ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში

2018 წლის 21-22 მაისს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართება საჯარო ლექციები, რომელსაც გაუძღვებიან სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები.

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის ვახტანგ დავითაიას საჯარო ლექცია - „ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია, არქიტექტურა კონტექსტში“;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორის ბესარიონ ტატიშვილის საჯარო ლექცია - „ბათუმის ძველი (მიტოვებული უმოქმედო უსარგებლო) სამრეწველო შენობების რევიტალიზაცია, რეკონსტრუქცია და ადაპტაცია“.

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის გიული გეგელიას საჯარო ლექცია - „რეკონსტრუქცია რეაბილიტაცია რესპუბლიკის მასშტაბით და მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა ბათუმის მაგალითზე“.

25. სასწავლო პროექტი - „პლეხანოვის“ უბნის შენარჩუნებადი განახლება“ფაკულტეტის სტუდენთთა მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში.

2018 წლის 8 ივნისს სავაჭრო ცენტრ „ქარვასლაში“ მოეწყო მომავლის ქალაქმგეგმარებელთა რეალური ლაბორატორიის და ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორული თანამშრომლობით 2017 წლის მარტიდან ამუშავებული „პლეხანოვის“ უბნის განვითარების სასწავლო პროექტის კვლევითი ნაწილის განხილვა. პროექტში მონაწილეობას იღებენ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები: დეა ხიზანიშვილი, ანა წიკლაური, გიორგი შონია, ინა ბარბაქაძე, გუკა კამლაძე, და შალვა მახარაძე.

26. სასწავლო პროექტი „გორის მიწათსარგებლობის გენგეგმა“

2018 წლის 11 ივნისს "სითი ინსტიტუტი საქართველომ" და მისმა ხელმძღვანელმა მამუკა სალუქვაძემ სერტიფიკატები გადასცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს გორის მიწათსარგებლობის გენგეგმის წინასაპროექტო სამუშაოების წარმატებით შესრულებისთვის.

27. სტუ-ს 86-ე სტუდენტთა ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2018 წლის 20, 21, 22 და 27ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიხსნა სტუტენტური ღია სამეცნიერო-პრაქტიკული 86-ე კონფერენცია. კონფერენცია ჩატარდა სამ სექციაზე: არქიტექტურის და ურბანისტიკის, არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის, ინტერიერის და დიზაინის.

28. შეხვედრა დამსაქმებელთან:ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთან

2018 წლის 20 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს და პროფესორებს შეხვდა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლაიშვილი. შეხვედრაზე გვანცა ნიკოლაიშმილმა ისაუბრა სამსახურის სტრუქტურაზე, მიზნებზე და მომავლის გეგმებზე. შეხვედრის ბოლოს სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი გაიარონ პრაქტიკა და უფრო ღრმად შეისწავლონ სამსახურის სპეციფიკა რაც მათ მისცემს საშუალებას მომავალში დასაქმდნენ. თავის მხვრივ სამსახურმაც გამოთქვა სურვილი პრაქტიკები გაატარონ სტუდენტებს.

29. 2017–2018 სასწავლო წელს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების აქტივობა რეალურ საპროექტი–გეგმარებით საქმიანობაში.

ასოცირებული პროფესორის ირაკლი მურღულიას და ასისტენტ პროფესორი ნინო გვენცაძის ხელმძღვანელობით და მათი ინიციატივით ბაკალავრიატის 65211ჯგუფის სტუდენტები სასწავლო პროცესში მუშაობდენე რეალურ ურბანულ პროექტებზე ერთობლივად არქიტექტურულ ბიუროებთან: guram kamlaZe – Sps “arqiteqturuli biuro”, ოთარ ხვედელიძე – Sps “ა–არქიტექტურა”, ვერონიკა ლომინაძე – Sps “დეფანი ად”, Sps “არქი დი–სი”, Sps “არტ–სტუდიო”, გიორგი სეხნიაიძე – Sps “სტუდია 21”, givi kaxabriSvili _ Sps “arqiteqturuli biuro”, გიორგი მაღალდაძე _ Sps “ურბანიკა”.

30. ქ. ბათუმის ცენტრის წინასაპროექტო კვლევა და ურბანული რეკონსტრუქციის პროექტი.

2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საკურსო პროექტის ფარგლებში სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზიანის ფაკულტეტის 65211 ჯგუფი დაამუშავეს ბათუმის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტი. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტთან და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურის სამსახურთან თანამშრომლობით.

31. -არქიტექსტურა!

2018 წლის 2-3 ივლისს სოფელ გარიყულაში ჩატარდა გამოფენა: “ARCHITEXTURA-არქიტექსტურა! Contemporary ceramics exhibition”, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის პედაგოგებმა: ზაზა სვანაძემ და გოგი კვიწინაშვილმა.

32. გამოფენა: „ქანდაკება“

2018 წლის 5 ივლის სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოქანდაკე გ. ამირანაშვილის ინიციატივით მოეწყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. 32. Exhibition: "Sculpture". 2018 July 5 in the foyer of the Faculty of architecture, urbanism and design of GTU sculptor G. Amiranashvili initiated the exhibition of students ' works.

33. ახალგაზრდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადა

2018 წლის 6 ივლისს, 19:30 საათზე, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით და კერძო უმაღლესი სასწავლებელის ასოციაციისა და ჯგუფი „ურბანული ექპერიმენტების“ ორგანიზებით გაიმართება პროექტის „ახალგზარდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადის“ დასკვნითი ღონისძიება. ღონისძიება დაიწყო 15 აპრილს და მისი თემა იყო „გარაჟი პოტენციური საჯარო სივრცე”. პროექტი წარადგინეს სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდნტებმა. 33. Tbilisi Olympiad of young architects.

34. საერთაშორისო პროექტი: ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავის მაგალითზე.

2018 წლის 23 ივლისს რუსთავში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, ახალი სტუდენტური კონკურსის მოწყობასთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები: ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის წარმომადგენლები, რუსთავის მერი და მერიის თანამშრომლები, გერმანელი და ქართველი ურბანისტები და არქიტექტორები, ქართულ-გერმანული ბიზნესის წარმომადგენლები და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები. შეხვედრის ფორმატში შემუშავდა კონკურსის მიზანი და მხარეებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის გეგმა.

35. **გამოყენებითი მეცნიერებების ჟადეს უნივერსიტეტის პროფესორის ტომას ლუჰმანის ლექცია: „ჟადეს უნივერსიტეტის გამოცდილება ლაზერული სკანირების მეთოდოლოგიის განვითარებაში“**
სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტსა და ააიპ ინჟინრულ აზრს 2018 წლის 1-7 სექტემბერს ეწვია და ჩაატარა ლექცია გამოყენებითი მეცნიერებების ჟადეს უნივერსიტეტის, გერმანია პროფესორი ტომას ლუჰმანი. ამ პერიოდის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ქართული ძეგლების - თბილისში მეტეხისა და სიონის ეკლესიების სკანირება და ციფრული ანალიზი.

36. **სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო საერთაშორისო ვორკშოპი პარიზში**
2018 წლის 5 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა უკვე ტრადიციული სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი (პარიზის რეგიონი, საფრანგეთი). სერჟი-პონტუაზის ვორკშოპები იმართება 1982 წლიდან და ყოველი სესია გარკვეულ თემას ეძღვნება. სესიის მსვლელობისას საერთაშორისო სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფები ერთი თვის მანძილზე ეცნობიან სხვადასხვა საინტერესო ადგილებს, ამუშავებენ წინადადებებს და სესიის ბოლოს წარადგენენ პროექტს. წლევანდელი სესიის თემა იყო „ცხოვრება მეტროპოლიტენის არეალში“. ჩვენი ფაკულტეტი, სახელოსნოს დაარსების დღიდან თითქმის ყოველ წელს აგზავნის სტუდენტების პროექტებს საფრანგეთში, ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად. წელს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენელი იყო მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი გვანცა ცქიფურიშვილი. სესიაში მონაწილეობის მისაღებად მან გაიარა კონკურსი, რისთვისაც ვორკშოპზე წინასწარ გააგზავნა დამუშავებული თემა თბილისი-რუსთავის ურბანულ-რურარული კავშირების შესახებ. (ხელმძღვანელი ასოც.პროფ. დ. ბოსტანაშვილი).

37. **2018 წლის 1 ოქტომბერს, ჩატარდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სტუდენტურ კონკურსსა და ექსპერიმენტულ კურსში მონაწილეობის მსურველ სტუდენტებთან.**
შეხვედრის ფარგლებში არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა ქალბატონმა ნინო იმნაძემ და პროექტის ორგანიზატორმა ანა ბიბილაშვილმა სტუდენტებს გააცნო ზოგადი ინფორმაცია კურსის შესახებ, კურსის ამოცანები, მიზნები და გეგმები. ასევე ინფორმაცია საკონკურსო პროექტისა და შესარჩევი კლაუზურის თემის ირგვლივ.

38. **პირველი საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია: „მწვანე არქიტექტურა და მშენებლობა, როგორც ინტეგრირებული აზროვნების პროცესი“.**

2018 წლის 3 ოქტომბერს არქიტექტურის საერთაშორის კვირეულის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გ. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში არქიტექტურის საერტაშორისო კვირეულის ფარგლებში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მწვანე არქიტექტურა და მშენებლობა, როგორც ინტეგრირებული აზროვნების პროცესი“.
სლოგანი: „მწვანე არქიტექტურა მდგრადი მომავალი“
კონფერენციის ორგანიზატორები:
1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი;
2. შპს ახალი ტექნოლოგიების ცენტრი;
3. საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.
4. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო სამეცნიერო ცენტრი;
5. არქიტექტურული განათლების ხელშემწყობი და სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ცენტრი;

39. **კონკურსი–კლაუზურა თემაზე: საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია**
2018 წლის 5 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა კლაუზურა–კონკურსი თემაზე: საზოგადოებრივი სივრცე, როგორც კომუნიკაცია
2018ს 8, 9, 10 ოქტომბერს მიმდინარეობდა კლაუზურა–კონკურსის ნამუშევრების განხილვა.

40.შეხვედრა თბილისის არქიტექტურული ბიენალეს დამფუძნებლებთან

2018 წლის 17 ოქტომბერს, 14 საათზე სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში შედგება შეხვედრა თბილისის არქიტექტურული ბიენალეს დამფუძნებლებთან. არქიტექტორები ოთარ (ოთო) ნემსაძე, გიგი შუკაკიძე და თინათინ გურგენიძე.

41. საერთაშორისო პროექტი. არქიტექტურული დიალოგი გერმანელ ახალგაზრდა არქიტექტორებსა და ქართველ სტუდენტებს შორის

2018 წლის 22 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში შედგა შეხვედრა გერმანელ არქიტექტორებთან კიოლნიდან: მარიტა რიედელ, დორის ფუნქჰაუზერ, ტატიანა დეტერინგ და ბირგიტ დ. მეიერ–ვაიდმანნ, კიოლნის და მაინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გერჰარდ კალჰოფერ და მისი ყოფილი სტუდენტები, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურულ სკოლებში და ამავე დროს მუშაობენ თავიანთ პროფესორთან ერთად არქიტექტურულ ბიუროში: დავიდ ებელი კიოლნი, არქიტექტორი და ასევე მარსელის ხელოვნების ბაკალავრი; ტობიეს შეედერი არქიტექტორი და მაინსის ხელოვნების მაგისტრი; იოჰანეს ჰაუკე ლაიპციგი–არქიტექტორი, მირა ჰეინზე – კიოლნი არქიტექტორი, დირკ ზალოგა დუსელდორფი არქიტექტორი.

შეხვედრაზე მაინსის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა სტუდენტებს გაუზიარა ის გამოცდილება და პროექტირების სწავლების მეთოდიკა, რომელიც ხორციელდება მაინსის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე.

42. საჯარო ლექცია: „საერთაშორისო კომპანია ჰენკელი და თანამედროვე სამშენებლო მასალები“

2018 წლის 26 ოქტომბერს 405 ც აუდიტორიაში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „კომპანია ჰენკელი და თანამედროვე სამშენებლო მასალები“. ლექციას გაუძღვა საერთაშორისო კომპანია „ჰენკელის“ ტექნიკური დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალისტი გიორგი ზუბიაშვილი.

43. საჯარო ლექცია: თანამედროვე სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები

2018 წლის 29 ოქტომბერს არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაქულტეტზე ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში შპს „ბაზალტ ფაიბერს“–ის დირექტორმა გიორგი გოგოლაძემ ჩატარა საჯარო ლექცია თემაზე: თანამედროვე სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები.

44. საკონკურსო პროექტის განხილვა გერმანელ ექსპერტებთან ერთად.

2018 წლის 29 ოქტომბერს ექპერიმენტული კურსის თანახელმძღვანელები გერმანელი არქიტექტორები GEOBAY - ბავარიის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი არქიტექტორი კარლჰეინზ ბეერ; არქიტექტორი, დოქტორი იორგ ჰეილერი, არქიტექტორი იაკობ ობერპილერი, შ.პ.ს. „ბაზალტ ფაიბერის“ დირექტორი გიორგი გოგოლაძე ესტუმრნენ ფაკულტეტს. მათი ვიზიტის მიზანი იყო საკონკურსო პროექტის „ახალი საზოგადოებრივი სივრცე (Urban Hub) ქ. რუსთავისთვის“ სტუდენტების მიერ შემუშავებული კონცეფციების განხილვა. პროექტების განხილვის შემდეგ გერმანელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს მასტერ კლასი საზოგადოებრივი სივრცეების დაგეგმარების თავისებურებებზე, კონკრეტულ პროეტზე თვითოეულ სტუდენტს გაუწიეს კონსულტაციები.

45. ინტერდისციპლინარული საერთაშორისო ვორქშოფი „საგამოფენო პავილიონი“ გონიო–აფსაროსის არქეოლოგიურ–არქიტექტურულ მუზეუმ–ნაკრძალში.

2018 წლის 25 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ირაკლი ზუკაკიშვილმა, გიორგი კეპულაძემ, ინვერ შვანგირაძემ და გიორგი ჩაბალუხამ მონაწილეობა მიიღეს ინტერდისციპლინარულ საერთაშორისო საკონკურსო პროექტის „საგამოფენო პავილიონი“ გონიო–აფსაროსის არქეოლოგიურ–არქიტექტურულ მუზეუმ–ნაკრძალში“ პირველ ეტაპში. პირველ ეტაპზე გონიოში ჩატარდა ვორქშოფი. საერთაშორისო პროექტში მონაწილეობას ღებულობენ პოლონეთის მხრიდან ქალაქ გდანსკის სამხატვრო აკადემიის და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის სტუდენტები.

46. საჯარო ლექცია „Architects of invention”(AI) -ის დამფუძნებელთან ნიკა ჯაფარიძესთან

2018 წლის 31 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე 405 ც აუდიტორიაში ჩატარდა საჯარო ლექცია არქიტექტორ ნიკა ჯაფარიძესთან, რომელიც მოღვაწეობს ლონდინში და გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა სტუდია OMA ჰოლანდიელ არქიტექტორთან რემ კოალჰასთან ერთად. იგი არის საერთაშორისო კომპანიის „Architects of invention” -ის დამფუძნებლი და არაერთი ჯილდოს მფლობელი.

47. საჯარო ლექცია თემაზე: „Contemporary Workspaces”

2018 წლის 19 ნოემბერს 405 ც. აუდიტორიაში 19 საათზე ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში არქიტექტორ ნიკოლოზ ლეკვეიშვილმა ჩაატარდა საჯრო ლექცია თემაზე: „Contemporary Workspaces”.

48. გერმანულ–ქართული ერთობლივი სასწავლო ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში ვიზიტი საპროექტო ტერიტორიაზე ქ. რუსთავში

2018 წლის 22 ნოემბერს, სტუდენტური კონკურსისა და მოსამზადებელი ექსპერიმეტული კურსის მიმდინარეობის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქალაქ რუსთავში, ქ. რუსთავის მერიისა და სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის ერთობლივი ორგანიზებით.

49. სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდნტთა წარმატება საერთაშორისო კონკურსში

2018 წლის 15, 16, 17, 18 ნოემბერს, ყაზახეთის არქიტექტურულ–სამშენებლო აკადემიის ორგანიზებით მოლდავეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში (ქ.კიშინოვი) გაიმართა ევრაზიის ყოველწლიური VIII არქიტექტურულ–სამშენებლო და დიზაინის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებს 17–ზე მეტი ქვეყანა. მათ შორის იტალია, ლიტვა, ლატვია, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, რუმინეთი, სერბეთი, პოლონეთი და სხვა.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ევრაზიის არქიტექტურული და დიზაინერული სკოლების დამასრულებელი სამაგისტრო ნაშრომების დათვალიერება–კონკურსი. სხვადასხვა ნომინაციებში წარმოდგენილი იყო 900–ზე მეტი პროექტი. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან კონკურსში მონაწილეობა მიიღო 6–მა სამაგისტრო დამასრულებელმა ნამუშევარმა ნომინაცია „არქიტექტურა“. სულ ამ ნომინაციაში საკონკურსოდ წარდგენილი იყო 198 პროექტი. მე–2 და მე–3 ადგილი წილად ხვდათ ჩვენს კურსდამთავრებულებს, ხოლო დანარჩენებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

ეკა ბარბაქაძეს სამაგოსტრო ნაშრომი თემაზე: „ ეკოლოგიის ინსტიტუტი 500 სტუდენტზე ქ. რუსთავში“; ხელმძღვანელი მედეა მელქაძე გადეცა მეორე ხარისხის დიპლომი;

თამარ ქსოვრელი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ ღვინის სამყარო რაჭაში“ ხელმძღვანელი ნინო იმნაძე გადაეცა მე–3 ხარისხის დიპლომი. ვერიკო ბაბუციძე სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: არქიტექტურის სკოლა 820 სტუდენტზე ხელმძღვანელი გიული გეგლია გადაეცა სერთიფიკატი თალიკო ონიანი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ფსიქიატრიული კლინიკა და კვლევითი ცენტრი“ ხელმძღვანელი დავით ბოსტანაშვილი გადაეცა სერთიფიკატი; დავით კომახიძე სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: შ. რუსთაველის სახელობის აეროპორტი ქ. თბილისში ხელმძღვანელი ნინო იმნაძე გადაეცა სერთიფიკატი; მეგი სომხიშვილი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ქ. თბილისში“ ხელმძღვანელი გია ნადირაძე გადაეცა სერთიფიკატი; ჩვენი ინსტიტუტიდან ჟიურიში სამუშადო მიწვეული იყო პედაგოგი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი ბესარიონ ტატიშვილი.

50. შეხვედრა დეველოპერულ კომპანია DUX-ის წარმომადგენლებთან.
საკონკურსო პლატფორმის პრეზენტაცია

2018 წლის 30 ნოემბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, შედგა შეხვედრა დეველოპერული კომპანია DUX-ის წარმომადგენლებთან, დამფუძნებელი ირაკლი ლომიძე და მარკეტინგის მენეჯერი გვანცა ფანჩულიძე, რომლებმაც გააკეთეს საკონკურსო პლათფორმის პრეზენტაცია.პრეზენტაცია. საკონკურსო პლათფორმის მიზანია აღმოაჩინოს ტალანტები და კონკურსის გზით გამოავლინოს ინოვაციური იდეები, ახალი კონცეპტუალური ხედვები, ახალგაზრდა არქიტექტორებს და სტუდენტებს მისცეს შანსი განახორციელონ თავიანთი იდეები სხვადასხვა მიმართულებით: არქიტექტურული პროექტი, ინტერიერის დიზაინი და გარემოს დიზაინი. დეველოპერული კომპანიის მიერ წარმოდგენილი პროექტი სრულიად ახალია. პირველი შემთხვევაა, როდესაც კერძო სექტორი, ასეთი სახით თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებელთან. ბიზნესის მოთხოვნა, რომელიც შეიძლება გაითვალისწინოს არქიტექტორმა.

51. არქიტექტური, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა და პედაგოგთა წარმატება - არქიტექტურული პრემია 2018

2018 წლის 15 დეკემბერს სასტუმრო „ბილტმორში“ გაიმართა „არქიტექტურული პრემია 2018“ – ის დაჯილდოვება. „არქიტექტურული პრემია 2018“ საქართველოს არქიტექტორტა ასოციაციის და ჟურნალ „სტილის“ მიერ ყოველწლიურად იმართება და მისი მიზანია წლის საუკეთესო პროექტის გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციებში.

ნომინაცია „სტუდენტური პროექტი“ დაჯილდოვდა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტი დავით კომახიძე. კონკურსზე მის მიერ წარდგენილი იყო სამაგისტრო დამასრულებელი ნაშრომი თემაზე: შ. რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ქ. თბილისში“(ხელმძღვანელი ნ. იმნაძე).

ნომინაცია: რესტავრაცია–რეკონსტრუქცია გაიმარჯვა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგმა ვასილ ქობულიამ პროექტში: მრავალფუნქციური შენობა არსებული ისტორიული შენობის აწევა რეკონსტრუქცია. მდებარეობა: იალბუზის ქუჩა ქ. თბილისი. ავტორები:ქობულიები და პარტნიორები. არქიტექტორ რესტავრატორი ნანა ინწკირველი; ხელოვნებათმცოდნე: ლალი ანდრონიკაშვილი.

განსაკუთრებული წვლილისთვის არქიტექტურაში ჯილდო გადაეცა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორს, ემირიტუსის საპატიო წოდების მფლობელს ქალბატონ ნანული თევზაძეს.

სხვადსხვა ნომინაციებში (ნომინაცია: საზოგადოებრივი ინტერიერი, რეალიზებული საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი შენობა) ასევე გაიმარჯვეს და გადაეცათ დიპლ

ომები ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს ნინო ჭანტურიას და ლუკა ჩგანავას სტუდია: NS STUDIO,

ასევე ნატალია მანჯგალაძეს, თამო მოსიაშვილს და მაკა დავითიძეს სტუდია: SPACE

52. სამეცნიერო კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

2018 წლის 17 დეკემბერს სტუ–ს გიორგი ნიკოლაძის სახელობის დარბაზში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

კონფერენცია მიეძღვნა ირაკლი ციციშვილის 100 წლის იუბილეს.

53. არქიტექტურული პროექტების გამოფენა

2018 წლის 17 დეკემბერს სტუ–ს ადმინისტრაციული კორპუსის ფოიეში გაიხსნა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორის ზურაბ ტიტვინიძის არქიტექტურული პროექტების პერსონალური გამოფენა.

გამოფენა მიეძღვნა ირაკლი ციციშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის თარიღს.

54. საჯარო ლექცია თემაზე: „საქალაქო სატრანსპორტო სისიტემის მიმოხილვა“

2018 წლის 21 და 28 დეკემბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში 19 საათზე ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „საქალაქო სატრანსპორტო სისიტემის მიმოხილვა“ ვუჩიკის წიგნის: „Transportation for livable cities” მიხედვით. მოხსენება გააკეთეს არქიტექტორმა გიორგი კიღურაძემ და ურბანისტმა პავლე მაისურაძემ.

ლექციაზე განხილული იყო სატრანსპორტო პრობლემები ქალაქში, თუ როგორ უნდა ითვალისწინებდეს ქალაქის კონცეფცია ტრანსპორტს. ლექციის მსვლელობისას განხილული იყო სხვადასხვა ქალაქები. ნაჩვენები იყო თუ როგორ შეიცვალა ქალაქი მე–19 საუკუნიდან დღემდე. განხილული იყო ასევე თბილისი და თბილისის მერიის მიერ გატარებული ღონისძიებები ქალაქში.

55. სტუდენტური კონკურსი

2018 წლის 25 დეკემბერს შედგა სტუდენტურ კონკურსში: „სათამაშო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ნაძვისხისთვის“ გამარჯვებულების დაჯილდოება. დაჯილდოებას წინ უძღვოდა გამოფენა და ჟიურის მუშაობა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის სტუდენტებმა. თვითოეულ სტუდენტს წარმოდგენილი ჰქონდა რამოდენიმე ნამუშევარი. მთავარი კრიტერიუმი იყო ორიგინალური სათამაშოს შექმნა არქიტექტურის თემაზე. დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები, რომელიც გადაეცათ გამარჯვებულ სტუდენტებს. პრიზები გადასცა ფაკულტეტის დეკანმა ნინო იმნაძემ.

დაჯილდოვდნენ:

I ადგილი – ალექსანდრე ნავროზაშვილი. მას გადაეცა ფულადი პრიზი 100 ლარი

II ადგილი – ნუცა კიკნაველიძე პრიზი – 50 ლარი

III ადგილი – სოსო ჩიბურდანიძე – 20

წამახალისებელი პრიზები გადაეცათ მარიამ კაკაურიძეს, თათული აფციაურს, მედეა დიდებაშვილს, გვანცა ძაგანაშვილს და გიორგი დოიჯაშვილს.

დაჯილდოების შემდეგ ყველამ ერთად სტუდენტებმა და პედაგოგებმა მორთეს საახალწლო ნაძვის ხე!

56. სახელმძღვანელოები - მონოგრაფიები

სახელმძღვანელო „ლანდშაფტური არქიტექტურა“

2018 წელს გამოიცა სახელმძღვანელო "ლანდშაფტის არქიტექტურა" (ფერადი ილუსტრაციებით, 190 გვ.)

ავტორი: თენგიზ მახარაშვილი

“ურბანული სივრცის მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში“

2018 წელს გამოიცა წიგნი - "ურბანული სივრცის მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში" (ქართულ-ინგლისური, ფერადი ილუსტრაციებით, 290 გვ.)
ავტორები: ვლადიმერ ვადროსანიძე, თენგიზ მახარაშვილი, ზურაბ ლაოშვილი, ნინო ჩაჩავა, ნინო ფაილოძე.

ვახტანგ დავითაია: „ცხოვრების ფურცლები“

„ჩანაწერები“

2018 წელს გამოვიდა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორის, აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას სამი წიგნი: „ცხოვრების ფურცლები“ წიგნი I , წიგნი II და „ჩანაწერები“.

57. ქართველი კურსდამთავრებულების წარმატება

2018 წლის 27 დეკემბერი. განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიატმა, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამტავრებულმა სალომე გუგუნავამ წარმატებით დაასრულა სწავლა მილანის ტექნიკურ უნივერსიტეტში და მიიღო მაგისტრის ხარისხი.

სალომეს სამაგისტრო თემა ეხებოდა დანგრეული და თითქმის განადგურებული ქალაქის - ალეპოს (სირია) - უძველესი ისტორიული ცენტრის აღდგენა-რეაბილიტაციას, მაქსიმალური ქულით შეფასდა და ''Ordine dei architetti''-ის მიერ წლის საუკეთესო პროექტის ნომინაციაზეა შერჩეული.

2018 წლის 22 დეკემბერი

განათლების საერთაშორისო ცენტრი იუწყება, რომ „ცენტრის სტიპენდიატმა გიორგი მაისურაძემ წარმატებით დაასრულა სწავლა მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და მიიღო მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში. მის მიერ მომზადებული სამაგისტრო თეზისი ეხებოდა სამეცნიერო ლაბორატორიის შენობას ფარმაცევტული კომპანიის NOVARTIS-ის კამპუსის ბაზაზე ბაზელში, შვეიცარია.

აღნიშნული თეზისისთვის გიორგი მაისურაძემ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, თეზისი ,,Ordine dei architetti''-ის მიერ წლის პროექტადაა ნომინირებული“.

58. **ვორქშოპი: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“.** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბ ლაბისა და ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკლასი არქიტექტორებისთვის და დიზაინერებისთვის

2019 წლის 25 – 26 იანვარს, 15 თებერვალს სტუ-ს ფაბ ლაბ –ის ორგანიზებით არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა ლექცია, მასტერკლასი და ვორქშოპის პირველი და მეორე ეტაპი: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“. ვორქშოფს გაუძღვა ამერიკელი არქიტექტორი, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის არქიტექტურის მაგისტრი კონნორ ბორჰარტი.

59. **ლექცია და ვორქშოფი: კრიტიკული რეგიონალიზმი**

2019 წლის 8 მარტი. მენტორი ამერიკელი არქიტექტორი, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის არქიტექტურის მაგისტრი კონნორ ბორჰარტი.

60. **ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის**

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში

2019 წლის 6 და 7 მარტს სტუ–ს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრში (სტუ–ს 1 კორპუსი 227 აუდიტორია) 16 საათზე ჩატარდება ტრენინგი: „ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“. პედაგოგი არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი ნათია ქოჩლაძე.

61. **XI სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი: „თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები“.**

2019 წლის 29 იანვარი, 4, 8, 11 თებერვალი. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“–ის პირველი კურსის მაგისტრანტებმა და პედაგოგებმა.

62. **საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული პროექტი:“ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავისთვის.** 2019 წლის 25 თებერვალს პროექტის დასრულება (დასაწყისი 2018 წლის ოქტომბერი), განხილვაა რუსთავის მერიაში და გამარჯვებულების გამოვლენა.

63. საკონკურსო **პროექტი: „შოურომი“ კომპანია „ეუროფასადისთვის“** – 2019 წლის 27 მარტი. კონკურსისი გამოცხადება და პროექტზე მუშაობის დაწყება.

64. 2019 წლის 18 თებერვალი. სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტის **იოსებ იოსელიანის ნახატების პერსონალური გამოფენის** გახსნა ეროვნული სასახლის „მარმარილოს დარბაზში“.

65. 2019 წლის 7 თებერვალი - **საჯარო ლექცია: „ჰანს ვან დერ ლაან და მის ვან დერ როეს არქიტექტურა“.**

Erasmus+ Academic Staff Mobility –ის ფარგლებში პოლონეთის იგნასი ლუკასეივიჩ რზესზოვის ტექნოლოგიური უნივერსიტის პროფესორის რაფაელ მაზურას ლექცია.

66. 2019 წლის 5 მარტი. **საჯარო ლექცია: „Lessons on Sustainable Architecture and Urban Planing“;** ლექციას გაუძღვა ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი ანტონიო კასტელბრანკო.

67. 2019 წლის 19 მარტი. **საჯარო ლექცია: „მოპირკეთების თანამედროვე სტანდარტი“.** ლექცია წაიკითხა კომპანია ევროფასადის დამფუძნებელმა ბესარიონ საბაშვილმა.

68. 2019 წლის 1 აპრილი. **საჯარო ლექცია: „თანამედროვე მიწის არქიტექტურა“.**ლექციას გაუძღვა არქიტექტორი გივი ჯაყელი, შპს „ტერა კავკასიის“ დამფუძნებელი, რომელიც ხელს უწყობს მიწის არქიტექტურის განვითარებას საქართველოში.

69. **2019 წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში განხორციელდა II-IV კურსის სტუდენტების საპროექტო პრაქტიკა,** შემდეგ კომპანიებთან და რეგიონალურ/ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან: 1. შპს „ექსპერტიზა“, 2. ააიპ „ინჟინრული აზრი“, 3. ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის სამსახური. 4. ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური. 5. ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახური. 6. ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახური. 7. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური. 8. შ.პ.ს ქ.ბათუმი კომპანია „ორბი ჯგუფი“, 9. ქ.ბათუმი შ.პ.ს „გუმბათი ჯგუფი.“2019 ზამთრის პერიოდის საპროექტო პრაქტიკაზე მონაწილეობა მიიღო 42 სტუდენტმა.

70. **მასტერკლასი „ახალი ბიზნეს იდეები და ტენდენციები“**

2019 წლის 11 აპრილს „მეტი დეველოპმენტმა“ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და პედაგოგეგბისთვის ჩაატარეს მასტერკლასი „ახალი ბიზნეს იდეები და ტენდენციები“. მასტერკლასი ჩაატარეს მეტი დეველოპმენტის სპეციალური მოწვევით: ნიდერლანდელმა არქიტექტორებმა ბერენდ ვან ეგმონდი, მეც. მაგისტრი და ემილია ვან ეგმონდი, მეცნ. დოქტორი. მასტერკლასის ბოლოს სტუდენტებს გადეცათ სერთიფიკატები. ორგანიზატორი „მეტი დეველოპმენტს“ , „იოტა დიზაინი“.

71. **სასწავლო პრაქტიკა: მშენებლობის უსაფრთხოება**

2019 წელის 12 აპრილიდან - 12 ივნისამდე სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, არქიტეტქტურული გეგმარებისა და ურბანისტიკის დეპარტამენტის, არქიტექტურული გეგმარების მიმართულების მე–4 კურსის ბაკალავრებმა გაიარეს სასწავლო პრაქტიკა მშენებლობის უსაფრთხოებაში. პრაქტიკას გაუძღვა არქიტექტურის მაგისტრი გურამ ბაღაშვილი. პრაქტიკა გაიარეს კონკრეტულ დეველოპერულ კომპანიებში: შპს "გეო ბილდერსი",შპს "ლისი ფო", შპს "აქსის დეველოპმენტი", შპს "დომუს დეველოპმენტი",

72. 2019 წლის 4 აპრილი. **შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციასთან:** კომპანია „ინდექსის“ წარმომადგენლებთან.

73. **კრეათონი - ფიროსმანი ციფრულ სივრცეში/Creathon – Pirosmani in the digital space**

20.04. 2019 ნიკო ფიროსმანის შემოქმედებაზე დაფუძნებული პირველი შემეცნებითი, შემოქმედებითი კონკურსი სტუდენტებისათვის. ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკ. სტუდენტთა გუნდი ფიროსმანისადმი მიძღვნილი კრეათონის გამარჯვებული გახდა, ასევე მეორე ადგილი და სპეციალური პრიზი გადეცათ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს.

74. **კნაუფის ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრში დაიწყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების ტრენინგების სერია.**

2019 წლის 15, 17, 19, 22 აპრილს ტრენინგი პროგრამით „კნაუფის შიდა ტიხრები და ჭერის სისტემები“.

75. **შემეცნებითი პროექტი: „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“**

2019 წლის 24 მარტი - 24 აპრილი.

76. 2019 წლის 22 აპრილი

შეხვედრა დამსაქმებელთან INDEX DESIGN CENTER-ში და მასტერ-კლასი სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

2019 Apr 22

77. 2019 წლის 30 აპრილი - **პიტერ სკენსვედის და ალექს დე ჟირარდიეს ლექცია: „ქუჩის ხელოვნება“.**

2019 April 30-lecture by Peter skensved and Alex de Girardier: "street art.

78. საერთაშორისო პროექტი Travelling Conference SCFuture - "South Caucasus Urban Futures - smart, systemic, resource efficient" in Tbilisi (May 9 to 12, 2019) / Yerevan (May 14 to 17, 2019). Partners of SCFuture: TH Köln (Germany), TU Georgia,(GTU) , National University of Architecture and Construction of Armenia, Tbilisi City Hall Architecture Service Design Division, Architecture week LLT (Armenia)

• ICON-INSTITUT Engineering GmbH (Germany). - **პროექტი „ Sustainable City-Waste Management System, Municipal Card, Mobile Application"; ერთობლივ პროექტში ჩართულები იყვნენ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, დოქტორანტები და ბაკალავრები.**

International project Travelling Conference SCFuture - "South Caucasus Urban Futures - smart, systemic, resource efficient" in Tbilisi (May 9 to 12, 2019) / Yerevan (May 14 to 17, 2019). Partners of SCFuture: TH Köln (Germany), TU Georgia,(GTU) , National University of Architecture and Construction of Armenia, Tbilisi City Hall Architecture Service Design Division, Architecture week LLT (Armenia)

• ICON-INSTITUT Engineering GmbH (Germany). **Faculty professors, PhD students and bachelors were involved in the joint project.**

79. 2019 წლის 11 მაისს, საკონკურსო პროექტი: კომპანია „ეუროფასადის" შოურუმი გამარჯვებულის გამოვლენა პირველი და მეორე ადგილები სტუ-ს არქიტეტურის ფაკულტეტის მე-3 კურსისს სტუდენტებმა დაიკავეს.

80. 2019 წლის 16 – 23 მაისს.

საერთაშორისო პროექტი: შეხვედრა, საჯარო ლექცია თემაზე: „თანამედროვე არქიტექტურა და ფოტოხელოვნება' და ვორქშოფი თემაზე: თბილისის მემკვიდრეობა"/"Haritage of Tbilisi". მენტორი ფრანგი არქიტექტორი ფერენტი ფერენტი.

2019 May 16-23.

81. 2019 წლის 7 ივნისი საერთაშორისო კონფერენცია „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები". კონფერენციის ფარგლებში მოწვეული იქნა ამერიკელი არქიტეტორი და კრიტიკოსი ვლადიმერ ბელოგოლოვსკი. რომელმაც გამართა საჯარო ლექცია და საკუტარი წიგნის „ნიუ იორკი არქიტეტურული გზამკვლევი" პრეზენტაცია ინოვაციების ცენტრში.

82. სტუდენტთა სკაიპ კონფერენცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, მინსკის და კალინინგრადის ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის.

2019 წლის 30 მაისს სტუ-ს ადმინისტრაციული კურპუსის შეხვერების ოთახში გაიმართა სკაიპ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა.

83. 2019 წლის 3 ივნისს წლის საუკეთესო საკურსო პროექტი: „ლანდშაფტური არქიტექტურა" გამარჯვებული გამოვლენა.

84. 2019 წლის 13 ივნისს - მასტერკლასი სტუდენტებისთვის თემაზე: „არქიტექტორის თანამედროვე BIM ინსტრუმენტები".

85. 2019 წლის 17-18 ივნისი - სტუ-ს სტუდენტური 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

86. 2019 წლის 22 ივნისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა ლექცია და ვორქშოპი:" ტრაფარეტული მხატვრობა".

87. 2019 წლის 29 ივნისს, 15 ივლისს - პროექტი: „ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლა" წინასწარი განხილვები და გამარჯვებულის გამოვლენა.

88. 2019 წლის 24-28 ივნისს ლექცია და ვორქშოპი „ექსტრემალური არქიტექტურა ანუ სახლები პატარა პლანეტისთვის (Houses for a small planet)". მენტორები: ერასმუს + აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პორტუგალიელი არქიტექტორები მარგარიდა ლოურო და ფრანჩესკო ოლივეირა.

89. 2019 წლის 30 ივნისს პროფესორ ჯუმბერ მალაღურაძის პერსონალური ნამუშევრების გამოფენა სტუ-ს გალერეა უნივერსში

90. 2019 წლის 1 ივლისს - სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა „ქანდაკება" ფაკულტეტის ფოიეში.

91. 2019 წლის 23 ივლისს პროექტი „ახალი ბანა" დასრულება და საჯარო განხილვა. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2018 წლის სექტემბერს.

92. 2019 წლის 15 მაისს - 1 აგვისტო. სტუდენტური კონკურსი: „გადმოსახედის" ესკიზური პროექტი

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა.

2019 წლის 1 აგვისტოს ,,გადმოსახედების" ესკიზური პროექტების მომზადებაზე გამარჯვებული სტუდენტები გამოვლინდნენ: სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები.

93. 2019 წლის 26 - 30 ივლისი. **საზაფხულო სკოლა სოფელ ვარჯაანში: „მიწის არქიტექტურა".**

საზაფხულო სკოლის მიმდინარეობისას გაიმართა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტების პროექტების: „სოფელ ახალი ვარჯაანის ადმინისტრაციული ცენტრი"

გამოფენა და განხილვა. გამოფენის გახსნას დაესწრო შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე.

94. 2019 წლის 1 სექტემბერი. **საკონკურსო პროექტების „ ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლის თეატრი“**
ზემო ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე მოეწყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა საკონკურსო პროექტების „ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლის თეატრი“ გამოფენა. საკონკურსო პროექტზე მუშაობა დაიწყო 2019 წლის 1 მარტი - 1 ივლისი დასრულება.

95. **2019 წლის სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების დათვალიერება - კონკურსი.** 2019 წლის 8 ოქტომბერს არქიტექტორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს არქიტექტორთა კავშირში მოეწყო 2019 წლის სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების დათვალიერება - კონკურსი. კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში არსებული არქიტექტურული სკოლები. სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზიანის ფაკულტეტიდან წარდგენილი იყო სხვადასხვა ნომინაციებში 9 პროექტი. ნომინაცია „მოცულობითი არქიტექტურა“ პირველი ხარისხის დიპლომი და ქეთევან და არჩილ ქურდიანების სახელობის დიპლომი გადაეცა მაგისტრ გია რურუას პროექტს; ნომინაცია რეკონსტრუქცია-რესტავრაცია პირველი ხარისხის დიპლომი გადეცა მაგისტრს გიორგი ტუნაძის პროექტს; ნომინაცია: გარემოს დიზაინი პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა მაგისტრს მარიამ გოგოლაშვილს.

96. **დიალოგის პლატფორმა: ცხოვრების ხარისხი ურბანული მემკვიდრეობის დაცვა.**
2019 წლის 7-12 ოქტომბერს და 4-12 ნოემბერს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო საკონკურსო პროექტში თემაზე: „დიალოგის პლატფორმა: ცხოვრების ხარისხი ურბანული მემკვიდრეობის დაცვა“.დიალოგის პლატფორმის ორგანიზატორია Studio L და Friedrich-Eber-Stiftung - ის კავკასიის რეგიონალური ოფისი;2019 წლის 12 ნოემბერს მწერალთ სახლში გამოვლიდნენ გამარჯვებული გუნდები.ჩვენი ფაკულტეტიდან აღნიშნულ პროეტში მონაწილეობა მიიღო ორმა გუნდმა. პირველი ადგილი და სეთიფიკატი გადაეცა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდს მარიამ ღვინეფაძის, ელენე ღვინეფაძის, ანა ნაცვლიშვილის, დეა ხიზანიშვილის, თორნიკე დუნდუას და მარიამ ძიმისტარიშვილის შემადგენლობით. მეორე ადგილი და სერთიფიკატი გადაეცა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის გუნდს ნიკიტა ტიმოშენკოს, ანასტასია კენჭაძის, თორნიკე ჭიკაძის, აჩი გაგელიძის და მარიამ ნიშნიანიძის შემადგენლობით.

97. **საჯარო ლექცია თემაზე: „კნაუფის აკუაპანელებისა და მრუდხაზოვანი სისტემების გამოყენება არქიტექტურაში“.** 2019 წ. 27 ნოემბერს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ცატარდა საჯარო ლექცია თემაზე „კნაუფის აკუაპანელებისა და მრუდხაზოვანი სისტემების გამოყენება არქიტექტურაში“. ლექციას გაუძრვა „კნაუფის“ ფირმის მარკეტინგისა და შესწავლის ცენტრალური მართვის განყოფილების უფროსმა ქალბატონმა ელენა პარიკოვამ.

98. **აზომვითი სამუშაოები და წინა საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა სოფ. ნიქოზში და ტყვიავში.**
2019 წლის 9 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტები (ჯგ. NN 2019.1.1; 2019.1.2) გაემგზავრნენ გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნიქოზში, კერამიკის სკოლის ტერიტორიის საველე გაცნობით სწავლებაზე, საველე გასვლაში მონაწილეობა მიიღო 57 სტუდენტმა. ნიქოზის სამუშაოების შემდეგ ჯგუფმა გადაინაცვლა სოფელ ტყვიავში. შემდეგი საპროექტო დავალება წარმოადგენდა სოფ. ტყვიავის კულტურის სახლის რესტავრაცია- რეაბილიტაციის პროექტს.

99. **სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატება ევრაზიის მე-9 საერთაშორისო ფესტივალზე.** არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ევრაზიის მე-9 საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც 2019 წლის 15, 16, 17 ნოემბერს ჩატარდა ტაშკენტში. ფესტიველის ფარგლებში გაიმართა კონკურსი სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომებს შორის. გამარჯვებულები გამოვლიდნენ 2019 წლის 15 ნოემბერს. ნომინაცია „არქიტექტურა“ ჩვენი ფაკულტეტიდან გაგზავნილი იყო ექვსი სამაგისტრო დამასრულებელი ნაშრომი. ამ ნომინაციაში მეორე ადგილი და დიპლომი გადაეცა მაგისტრანტმა გია რურუამ.ნომინაცია „რესტავრაცია“ მესამე ადგილი და დიპლომი მიენიჭა ჩვენი ფაკულტეტის მაგისტრანტმა გიორგი ტუნაძემ.

100. **სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები** - 2019 წლის 21 დეკემბერი.
Scientific-practical conference "modern problems of architecture and urban construction - 2019 December 21.

101. არქიტექტურული პრემია 2019 "საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის", ჟურნალი "STYLE"-ს ეგიდით, და თბილისის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა თბილისის მერვე საერთაშორისო არქიტექტურის

ფესტივალი. 2019 წლის 15 დეკემბერი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ნომინაცია „სტუდენტური პროექტი“ და „არქიტექტურული პროექტი“.

102. 2019 წლის 20 ნოემბერს, 11 და 18 დეკემბერი.

XII სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი მაგისტრანტებისთვის: „თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები“.

103. 2019 წლის 24 და 25 დეკემბერს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა წინასაახალწლო ზეიმი, მეჯლისი და კონკურსი „ქაღალდის არქიტექტურა“.

104. 2020 წლის 3 თებარვალი. ტყვიავის კულტურის სახლის რეკონსტრუქციის პროექტის, სოფელ ზემო ნიქოზის კერამიკის სკოლის პროექტის და ძვ. თბილისში ო. თუმანიანის ქუჩაზე არსებული ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პროექტის განხილვა. აღნიშნულ პროექტებზე მუშაობა დაიწყო 2019 წლის 27 სექტემბერს და დასრულდა 2020 წლის 30 იანვარს.

105. 2020 წლის 8 - 27 თებერვალი. არქიტექტურული კვირეულის TBILISI ARCH WEEK-ის ფარგლებში საერთაშორისო ერთობლივი ვორქშოფი ესპანელ და იტალიელ არქიტექტორებთან ერთად: პროექტი „წეროვანის დასახლების ხელახალი კულტურული დაგეგმარება“.პროექტი განხორციელდა "არქიტექტურული პოეტიკის" სტუდიაში.

106. **2020 წლის ივლისი. საერთაშორისო სტუდენტურ არქიტექტურულ კონკურსებში მონაწილეობა.** მსოფლიოს საუკეთესო დამამთავრებელი პროექტი - საერთაშორისო კონკურსი: ARCHIPRIX 2021; კონკურსის ტარდება ორ წელიწადში ერთხელ და იგზავნება ორი წლის განმავლობაში ფაკულტეტის საუკეთესო სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომი. გაიგზავნა ერთი პროექტი: მაგისტრანტი პაატა მირცხულავა - „საერთაშორისო აეროპორტი ქ. თბილისში“ ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი მედეია მელქძე.

107. 2020 წლის ოქტომბერი. **არქიტექტურის დღე - 2020 ფარგლებში არქიტექტურის მიმართულების სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების კონკურსი.** კონკურსის ორგანიზატორი არის საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, თანაორგანიზატორები საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი არქიტექტურული სკოლები. კონკურსი ტარდება რამოდენიმე ნომინაციაში: ქალაქთმშენებლობა - „დასავლეთი ფერდის რთული რელიეფის საცხოვრებელი გარემო“მაგისტრანტი: თორნიკე სანაძე - I პრემია; ნომინაცია: ლანდშაფტის არქიტექტურა -“არქიტექტურის ინსტიტუტი ლისის ტბაზე“ მაგისტრანტი: ზვიად გეგუჩაძე - I პრემია; ნომინაცია მოცულობითი არქიტექტურა - .“კულტურის ცენტრი მესტიაში“ მაგისტრანტი: ლუკა ჭკადუა - I პრემია; ნომინაცია: რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია - .“ფოთის ნავსადგურის სამგზავრო ტერმინალი“მაგისტრანტი: ანი შტაადე - I პრემია; ნომინაცია: ინტერიერი და დიზაინი „ყოფილი ქარვასლის ინტერიერის მოდერნიზაცია (ქ.თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა №36)“ მაგისტრანტი: ლევან ღავთაძე - I პრემია;

108. -ჟურნალ სტილის მიერ გამოცხადებული კონკურსი „2020 წლის საუკეთესო სტუდენტური პროექტი“ მონაწილეობას იღებენ ბაკალავრები და მაგისტრანტები. კონკურსზე გაიგზავნა ხუთი პროექტი.

109. 2020 წლის 15 აპრილიდან 15 ივნისამდე ჩატარდა **ონლინ სტუდენტური კონკურსი თემაზე: „არქიტექტურა დისტანციური ურთიერთობისთვის“;** კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის სხვადასხვა საფეხურის ბაკალავრებმა. არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიღეს გამოწვევა და შექმნეს პროექტები, რომელშიც გამოავლინეს თავაიანთი დამოკიდებულება პანდემიის დროს შექმნილ ვითარებაზე. შედეგად დაიბადა პროექტების მთელი სერია: „არქიტექტურა დისტანციური ურთიერთობებისთვის“ - „ქაღალდის არქიტექტურა“ ე.წ უტოპიური ფანტაზია. დისტანცირებამ, იზოლირებამ უამრავი ახალი არქიტექტურული კონცეფცია გამოავლინა. საკონკურსო პროექტების განხილვა მოხდა დისტანციურად. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 80 სტუდენტმა. გამარჯვებულები გამოვლინდნენ 15 ივნისს.

110. 2020 წლის 25 აპრილიდან 15 ივნისის ჩათვლით **ონლინ სტუდენტური კონკურსი თემაზე - "COMMUNITY HEALTHCARE“ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა.** არნიშნული თემა ასევე საინტერესო გახდა სტუდენტებისთვის: ეს არის ჯანდაცვა და ადამიანების სამკურნალოდ მცირე მობილური სივრცეების ორგანიზება. ფუნქციური არქიტექტურა, რომელიც ეხლა ამ წუთას აუცილებელია. ასე შეიქმნა საინტერესო პროექტების სერია: მცირე მოცულობის მობილური, ტრანსფორმირებადი პოლიკლინიკები - სტუდენტური კონკურსი თემაზე - "COMMUNITY HEALTHCARE“ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა. საკონკურსო პროექტების განხილვა მოხდა დისტანციურად.

111. 2020 წლის 5 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა ორგანიზება გაუკეთა **ვირტუალურ ლექციათა ციკლს, ბაკალავრებისათვის".** ფაკულტეტის დოქტორანტებმა წაიკითხეს ლექციები არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის აქტუალურ საკითხებზე. ლექციის დასრულების შემდეგ იმართებოდა ინტერაქცია კითხვა-პასუხის რეჟიმში. სულ

გაიმართა 8 ონლინ ლექცია. ლექციები მიყავდათ ფაკულტეტის დოქტორანტებს: გიორგი გაბუნიას, ქეთევან სოლომონიშვილს, ოთარ მჭედლიშვილს, ნინო ჭრელაშვილს, ანა რატიანს, ნიკოლოზ ლეკვეიშვილს, დავით ასანიძეს და ნინო ბარნაბიშვილს. დოქტორანტ ნიკოლოზ ლეკვიშვილის ლექცია: სამუშაო სივრცეები 21 საუკუნეში გაშვებული იყო იუტუბზე.

112. 2020 წ. ონლაინ **საერთაშორისო ვორქშოფი თემაზე: "Heritage Without Frontiers - 2nd edition";**2020 წლის 23 მაისს დასრულდა მეორე საერთაშორისო ვორკშოფი-„Cultural Heritage without frontiers!" Politecnico di Milano-s მხარდაჭერით და Erasmus K107 Project Mobility Activitis პროექტის ფარგლებში. ვორკშოფში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები და მოწვეული პროფესორები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი ნინო იმნაძე და დიზაინის საერთაშორისო სკოლის პროფესორი ნიკოლოზ შავიშვილი. მათ ჩაატარეს ონლაინ ლექცია თემაზე: 2020 წლის 21 მაისი ონლინ საჯარო ლექცია - "Architectural heritage: the environment and modern society. Georgian architecture in 1976-1990"ვორქშოფი 4 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში.

113. **სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია** - 2020 წლის 15 ივნისი პირველი საერთაშორისო ონლაინ **კონფერენცია თემაზე - "კოვიდ - 19, გამოწვევები არქიტექტურაში".** კონფერენციის მიზანი იყო ჩვენი ხმის დაფიქსირება კოვიდ-19-ის საერთო სივრცეში. კოვიდ-19 გამოწვევაა, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს.კონფერენციის უცხოელი გამომსვლელები: 1. პაულო კუკი - PCA-PaoloCucchi Architects ფირმის დამფუძნებელი. იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, მალაიზიისა და სინგაპურის არქიტექტურული სკოლებისა და უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი. აბინ ჩაუდჰური - მოწინავე კომპანია ინდოეთში ჰერცოგ დე მეირონის პარტნიორი ორგანიზაცია. ფრანჩესკო ადორნი (დამფუძნებელი, არქიტექტორი, კომპანია Francescoadorniarchitetto) ანტონიო კასტელბრანკო, ოქსანა ტურჩანინა. –RETHINK ტემპუსის პროექტის კოორდინატორი - ლისაბონის უნივერსიტეტი. პროფ. ბეატა ფეჰერვოლღუი, პროფ. ვიქტორია ცუპონი,(პანონიის უნივერსიტეტი, უნგრეთი), ლანდშაფტის არქიტექორი გუდრუნ ნაჰრენდორფი (გერმანია).

114. **მე-2 ონლინ სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალათმშენებლობის" თანამედროვე პრობლემები"** მიძღვინილი ფაკულტეტის პროფესორი მაია ჯავახიშვილის ხსოვნას - თბილისი 2020 წლის 21 დეკემბერი.

2nd onlin scientific-practical conference:" modern problems of architecture and female construction" in memory of Professor Maia javakhishvili of the Faculty of architecture-Tbilisi 2020 December 21.

115. 2020 წლის 1 მაისიდან 30 ივნისი ფაკულტეტის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ონლინ არქიტექტურული პროექტის - **„სტუ-ს მე-6 კორპუსის ფასადის რესტავრაცია-რეაბილიტაცია"** შედგენაზე; 2020 წლის 25 ივნისი 25 ივლისი - ფაკულტეტის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ არქიტექტურული პროექტის **„სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის წინ სკვერის მოწყობის"** შედგენაზე;

116. ევროპის მემკვიდრეობის დღეებისადმი მიძღვნილი ონლაინ თემატური სემინარში მონაწილეობა 2020 წლის 3 ოქტომბერი, მომზადდა მოხსენებები, პროექტები და ჩატარდა ვორქშოფი. მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, დოქტორანტებმა, მაგისტრანტებმა და ბაკალავრებმა.

მომზადდა შემდეგი პროექტები: საქართველოში დიუმას კულტეურული მარშრუტის პროექტის არქიტექტურული ვექტორების გავლენები, xIx-xx სს. მიჯნაზე ინდუსტრიული პერიოდის საინჟინრო ინფრა სტრუქტურა - ხიდები, ევროპული სტილების ზეგავლენა მე-19 საუკუნის თბილისის არქიტექტურაზე (ფოტო პროექტი); ევროპელი არქიტექტორები თბილისში (ფოტო პროექტი)- ხელმძღვანელი ნინო იმნაძე, შემსრულებლები მაგისტრანტები მარიამ ღვინეფაძე და ანანაცვლიშვილი;" არტ-ნუვო და საქართველო" (ფოტოკოლაჟი); "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" (დოკუმენტური ფილმი ფაკულტეტზე შექმნილი პროექტის მიხედვით); „პალაცო ფლორენციის და თბილისის არქიტექტურაში"; სტუდენტური ვორქშოფი: „ევროპული ქალაქგეგმარებითი სტანდარტების გავლენა თბილისის ურბანული გარემოს ფორმირებაზე (ვაკის უბნის მაგალითზე).

117. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის არქიტექტურულ ბიენალე - 2020 -ის ფარგლებში ორგანიზებულ პროექტში - **ინდუსტრიული მემკვიდრეობის კვლევა - თბილისის ჩვენთვის უცნობი შენობები; „მეტაფორმა"**. პროექტს უძღვებოდა ასოც. პროფ. დ. ბოსტანაშვილი.

118. 2020 წლის 5 აგვისტო - გამოვიდა ელექტრონული **„არქიტექტურული დაიჯესტის** მორიგი ნომერი № 22; 2020 წლის 15 სექტემბერის გამოვიდა ელექტრონულად არქიტექტურული დაიჯესტის სპეციალური გამოშვება: „კოვიდ - 19" სადაც აისახა 2020 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო - პროფესიული მოღვაწეობა;

119. 2020 წლის 18 სექტემბერი - გამოვიდა ელექტრონული ჟურნალი: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; № 12; 2020 წლის დეკემბერი - მომზადდა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ: „კოვიდ - 19“ გამოწვევები არქიტექტურაში;

120. წიგნი: **Cultural Heritage and Urban Health. New perspectives for cultural heritage conservation and sustainable urban development in Tbilisi. An open dialogue between Georgia and Italy.** 2020 წლის დეკემბერი; გამოიცა რომში. ISBN 978-88-255-3754-3; წიგნში შესულია ქართველი და იტალიელი არქიტექტორებისა და ასევე სხვადასხვა სფეროს წამყვანი სპეციალისტების ნაშრომები, რომლებიც გააერთიანა თემებმა, როგორებიცაა: ახალი პერსპექტივები კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში, რესტავრაცია-კონსერვაცია, ურბანული ჯანრთელობა. საქართველოსა და იტალიას შორის არსებული აკადემიური კავშირები და მათი განვითარების შესაძლებლობები.წიგნი გამოიცა თბილისის არქიტექტურული კვირეულის TAW-ის პატრონაჟით,პროექტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა.

121. პროექტი **„მოდერნისტული არქიტექტურის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება საქართველოში“** ფარგლებში ლურჯი პროექტის გუნდის მიერ მომზადდა **სახელმღვანელო "როგორ და რატომ უნდა დავიცვათ გვიანი მოდერნისტული არქიტექტურა",პროექტში** სხვა ორგანიზაციებთან ერთად ჩართული იყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

122. 2020 წელს გამოვიდა ელექტრონულ ფორმატში დამხმარე სახელმძღვანელოები: 1. რუსულენოვანი სალექციო კურსი - **„არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები“ავტორი** ვ. მუჯირი;

2.დამხმარე სახელმძღვანელო **„კინეტიკური არქიტექტურული დიზაინი“** ავტორები დავით თავხელიძე და მანანა თავხელიძე;

3.მომზადდა სახელძღვნელო **„არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“** ავტორი ქეთევან ბერეკაშვილი;

123. 2021 წლის 5-29 აპრილი, **პროექტი PRINTeL - ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული ონლაინ ტრეინინგი;** Erasmus+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიგეგმა სწავლების ინოვაციურ მეთოდებთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგკურსი.2021 წლის 23 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი - **Video as a learning tool for remote emergency teachers.** ტრენინგს გაუძღვა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნათია ქოჩლაძე ტრენინგი მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში 23 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით ონლაინ ზუუმ პლატფორმის მეშვეობით;

124. 2021 1 და 14 აპრილი. სემინარი **"ურბანული სისტემის მოდელირება და მართვა ერთიანი, ინტეგრირებული ვებპლატფორმის ბაზაზე. "ჭკვიანი ქალაქის" კონცეფცია".** სტუდენტური სამეცნიერო პროექტი.

125. 2021 წლის 14 აპრილი. სემინარი: **"ერთიანი ვებსისტემის თაობაზე და ჭკვიანი ქალაქის მოდელირებისა და მართვის საკითხებზე".**

126. 2021 წლის 12 - 22 აპრილი. სტუდენტური სასწავლო შემეცნებითი პრაქტიკა: **„კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რესტავრაცია- რეკონსტრუქცია“.** Arttex Development - ის მხარდაჭერით და ბატონ დავით დვალის ხელმძღვანელობით.

127. 2021 წლის 10 ივნისი. ურბანისტ ლადო ვარდოსანიძის საჯარო ლექცია: **„ქ. მცხეთის გენერალური გეგმის პრობლემატური საკითხები“.** ლექცია მოიცავდა ქ.მცხეთის კონცეპტუალური განვითარების საკითხებს. აკადემიურ ფორმატში განხილული იყო ურბანული განვითარების თეორიული , ორგანიზაციულ - ადმინისტრაციულ- ტექნიკური მხარეები წარმოჩენილი იყო ქალაქგეგამრებითი, მულტიდისციპლინარული მიდგომის მნიშვნელობა ქალაქის სივრცითი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას.

სტუდენტებისთვის გაზიარებული იყო ქ.მცხეთის ტურისტული განვითარების ავტორისეული ხედვა.

128. 2021 წლის 11 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით. **სასერთიფიკატო ტრენინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის BIM ტექნოლოგიებში.** საგანმანათლებლო პლატფორმაზე Learn, არქიტექტორებისთვის BIM გადაწყვეტების წამყვანი კომპანია GRAPHISOT-ის თაოსნობით, GRAPHISOFT Learn ჯგუფის მიერ, ჩატარდა სერთიფიცირებადი ტრეინინგი "BIM для архитектора. Базовый уровень" (კურსი მოიცავდა 4 სასწავლო კვირას - 40 ასტრონომიულ საათს).

129. 2021 წლის 15 ივლისი - **სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცი: „არქიტექტურის და ქალაქგეგმარების თანამედროვე პრობლემები“;**

130. 2021 წლის 1 ივნის - 15 ივლისი. **არქიტექტურული ფოტო კონკურსი „ჟირაფი“**

კონკურსი გამოცხადდა სამ ნომინაციაში:„არქიტექტურა დეტალებში“; „თანამედროვე არქიტექტურა ისტორიულ განაშენიანებაში“; „თანამედროვე ეზო“;

131. 2021 წლის 1,2,3, ივლისი. **არქიტექტურული სტუდენტური ვორქშოფი: „ფრენის მემკვიდრეობა“** პროექტი ეძღვნება არქიტექტორ ვაჟა გელაშვილის ხსოვნას.
132. 2021 წლის 10 ივლისი - სტუდია „არქიტექტურის პოეტიკა“ განხორციელდა სტუდენტური პროექტი **„თეატრის ნგრევა“.**
133. 2021 წლის ივლისი - **მომზადდა ელექტრონული წიგნი „არქიტეტურის პოეტიკა“** ავტორი დავით ბოსტანაშვილი.
134. 2021 წლის 11 ოქტომბერი - 2022 წლის 14 თებერვლი. **ქართულ-გერმანული საკონკურსო პროექტი „რკინის გზის სადგურის პროექტი ქ. თბილისის მერიასთან ერთად“.** კონკურსის მიზანია მონაწილეებმა წარმოადგინონ გრძელვადიანი მდგრადი კონცეფციის ხედვა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ქალაქის მთავარი კარიბჭის წინ ხარისხიანი საზოგადოებრივი სივრცის შექმნაზე. სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია თბილისის ყველა ავტორიზებულ უნივერსიტეტს, რომლებშიც ისწავლება არქიტექტურა და ურბანული დაგეგმარება. არქიტეტურის ფაკულტეტიდან მონაწილეობა მიიღო 11 გუნდმა. თვითოეული გუნდი 5 სტუდენტით დაკომპლექტდა.
2022 წლის 20 მაისი თბილისის რკინიგზის სადგურის მოედანი - პროექტი და გამარჯვებული გუნდის დაჯილდოება თბილისის საკრებულოში. პირველი და მესამე ადგილი დაიკავეს არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტურმა გუნდებმა.
135. 2021 წლის 1-15 დეკემბერი. არქიტექტურული სტუდენტური კონკურსი: „ინდუსტრიული არქიტექტურის ტრანსფორმაცია“. კონკურსის მიზანი იყო სტუ-ს პირველი კორპუსის შიდა ეზოს გარდასახვა საგამოფენო-სარეკრეაციო სივრცედ . გარდასახვის ობიექტი კი ეზოში არსებული უფუნქციოთ დარჩენილი წყლის საქაჩი კოშკი. საკონკურსოდ შეირჩა 25 პროექტიდან 4 პროექტი შესრულებული მე-4 კურსისი ბაკალავრიატის სტუდენტების მიერ.
136. 2021 წლის 29 ივლისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატება საერთაშორისო კონკურსში - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები საერთაშორისო კონკურსის - „არქიტექტურული პრემია 2021“ გამარჯვებულები გახდნენ. მაგისტრანტებმა - ანი შტაადემ (თემა: ქ. ფოთის ნავსადგურის სამგზავრო ტერმინალი“), და თორნიკე ქავთარაძემ („კულტურის სახლი სოფელ ტყვიავში“) ნომინაციაში - „სტუდენტური პროექტი“ მე-2 და მე-3 ადგილები დაიკავეს. გარდა ამისა, ანი შტაადე კომპანია „კაპიტელის“ რჩეული გახდა.
137. **2021 წლის 25 ნოემბერი -** საქართველოს არქიტექტორთა კავშირში გაიმართა 2021 წლის სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა - კონკურსი . საკონკურსო ჟიურის მიერ სხვადასხვა ნომინაციებში
გაიცა სპეციალური დიპლომები: 1. ნომინაცია „მოცულობითი არქიტექტურა“ „არჩილ და ქეთევან ქურდიანების“ პრიზი და დიპლომი. - გიორგი ქემოკლიძე - „ ქუთაისის რკინიგზის სადგური“. ხელმძღვანელი: ვასილ ქობულია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი). 2. პირველი პრემია: თორნიკე ქავთარაძე -„კულტურის ცენტრი ფასანაურში“. ხელმძ. ვასილ ქობულია. - ნომინაცია - მოცულობითი არქიტექტურა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი); 2. ნომინაცია „ქალაქთგეგმარება“. „გიორგი შაიშმელაშვილის“ სახელობის დიპლომი - თამარ ხუციშვილი - „კასპის განვითარების ქალაქმშენებლობითი კონცეფცია“ ხელმძღვანელი ნინო ჩხეიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი). 3. სპეციალური დიპლომები - იმედა ქოჩალაძე - „სტადიონი“ ქ. ქუთაისში ხელმძღვანელი გია ნადირაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი).
138. 2021 წლის 1-4 დეკემბერი. ქართულ-შვეიცარიული პროექტი. **საერთაშორისო ფორუმი: „ახალი ურბანული ტოპოლოგიების ფორუმი 2“.** შვედეთის სტოკჰოლმის ხელოვნების, არქიტექტურისა და საზოგადოების ცენტრის „ფარგფაბრიკენის“ ორგანიზებით ტარდება. ფორუმზე ურბანული დაგეგმარების საკითხები განიხილება, მათ შორისაა მიტოვებული ინდუსტრიული შენობებისა და სკვერების განვითარების პერსპექტივა.
წლევანდელ ფორუმში, რომელსაც ამჯერად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მასპინძლობს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ მასწავლებლები.
139. 2021 წლის 4 დეკემბერი. ონლინ სემინარი: **„უნივერსალური პროექტირება - გამოწვევები არქიტექტურისთვის“** სემინარი მიეძღვნა შშმ პირების საერთაშორისო დღეს, რომელიც ყოველწლიურად იმართება 3 დეკემბერს. სემინარი მიზნათ ისახავდა სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებას და პრობლემის გააზრებას. სემინარში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის სტუდენტებმა.

140. 2021 წლის 15 დეკემბერი. ქ. დუბაის, მანიპალის უმაღლესი განათლების აკადემიის, არქიტეტურის და დიზაინის სკოლის (MANIPAL ACADEMY of HIGHER EDUCation Dubai Campus) პროფესორების და სტუდენტების ვიზიტი არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის სტუმრები ფაკულტეტზე. ვიზიტის მიზანი იყო მჭიდრო თანამშრომლობის დაწყება, გაცნობა საგანამანათლებლო პროგრამების და მომავალი ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც მოიცავს როგორც ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას ასევე არქიტექტურული ვორქშოფების დაგეგმვას. სპეციალურად სტუმრებისთვის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა დავით ბოსტანაშვილმა წაუკითხა ლექცია არქიტექტურული პოეტიკის შესახებ და წარუდგინა სტუდენტთა ნამუშევრები, რომელიც ხორციელდება არქიტექტურული პოეტიკის სტუდიაში. ფაკულტეტის დეკანმა წარუდგინა პრეზენტაცია ფაკულტეტის ისტორიის და მისი განვითარების შესახებ. ბოლოს სტუმრებს გადაეცათ სამსახსოვრო საჩუქრები ფაკულტეტის ისტორიის ამსახველი ბუკლეტი და წიგნი „ქალაქები - ვიზუალური გზამკვლელი“.

141. 2021 წლის 27 დეკემბერი. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: **„არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობითი თანამედროვე პრობლემები“** გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია:“არქიტეტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, დისტანციურად ზუუმ პლატფორმის საშუალებით.

142. 2021 წლის 15 დეკემბერი - 2022 წლის 15 იანვარი. სტუდენტური კონკურსი: კონცეპტუალური პროექტი „სანტას სახლი“.

143. 2022 წლის 10 მაისი „დომუს საქართველოს“ პრეზენტაცია და საჯარო ლექცია „თელავივის ბაუჰაუზის მემკვიდრეობა“. პრეზენტაცია წარადგინა თბილისის არქიტექტურის, დიზაინის და კრეატიული ინდუსტრიული ცენტრის დამფუძნებელმა არქიტექტორმა ლენა კილაძემ.

საჯარო ლექცია - „თელ ავივის ბაუჰაუზის მემკვიდრეობა“. ლექცია წაიკითხა თელავივის ბაუჰაუზის ცენტრის დირექტირმა პროფესორმა მიხა გროსიმ.

144. 2022 წლის 16 იანვარი - 16 მაისი - ყიფშიძის ქუჩაზე არსებული ვითარების მიმოხილვა და მოსაზრებები - ერთობლივი პროექტი სტუდია „არსთან“ ერთად. არქ. ირაკლი როსტომაშვილი, დ. აბულაძე.

145. პროექტი - „ფოთის ახალი სისცოცხელე - 2022 წ.“დასაწყისი 2022 წლის 28 თებერვალი დასრულება 2022 წლის 15 ივლისი. 2022 წლის 16 ივლის მოეწყო ქ. ფოთის 9 აპრილის ხეივნის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტების განხილვა.

146. 2022 წლის 30 - 31 მაისი - საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

147. 2022 წლის 24 ივნისი - გრაფიკული პროგრამების შესწავლის საქველმოქმედო ონლაინ ვორქშოპი გაბრიელის ჯამრთელობისთვის.

148. არქიტექტურის საერთაშორისო ფესტივალი - 2022 წ. 31 ივლისი; არქიტექტურული პრემია - 2022 წ.
ნომინაცია: „სტუდენტური პროექტი“; „ცენტრალური რკინიგზის სადგურის რეაბილიტაციის პროექტი“ მდებარეობა: სადგურის მოედანი, თბილისი, საქართველო. ავტორები: „ჰიპოდამესი“ - მარიამ გოგოჩიშვილი, სანდრო ნავროზაშვილი, ანი ბურდული, თამთა კუპრაძე. სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, ხელმძღ. პროფესორი მერაბ ბოლქვაძე დაჯილდოვდნენ მეორე ხარისხის დიპლომით. სტუდენტების მიერ მომზადებული საპროექტო წინადადება „ხუდადოვის ტყე-პარკის განვითარების პროექტი“ წარდგენილი იყო თბილისის საკრებულოში და თბილისის მერიაში 2022 წლის 1 სექტემბერს და 6 ოქტომბერს.

149. 2022 წლის 7 ოქტომბერს სტუ-ს პირველი სასწავლო კორპუსის ფოიეში გაიხსნა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა-2009 – 2022 წწ, რომელიც მიეძღვნა სტუ-ს 100 წლის იუბილეს.

150. „მომავლის თანადასწრება - საჯარო პროგრამა“ - მოდერატორი დავით ბოსტანაშვილი
2022 წლის 22-23 ოქტომბერი. თბილისის ბიენალეს ფარგლებში ორი დღის განმავლობაში ჩატარდა „მომავლის თანადასწრება - საჯარო პროგრამა“; მოდერატორი და სპიკერი სტუ-ს არქტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოც. პროფ. დავით ბოსტნაშვილი, სპიკერი მოწვეული პროფ. ვლადიმერ ვარდოსანიძე.

151. 2022 წლის 11-14 დეკემბერი ლექციების სერია მალტელ არქიტექტორთან, საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსთან, მალტის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან ლინო ბიანკოსთან ერთად. სტუ არქიტექტურის ფაკულტეტზე აკადემიური ვიზიტით იმყოფებოდა პროფესორი ლინო ბიანკო მალტის უნივერსიტეტიდან. ვიზიტის ფარგლებში პროფესორი ბიანკო წაიკითხა 4 ლექცია: Defining architecture; Architecture and perception: Between rhetoric and reality; Values in architecture; Beyond geodesign: The architecture of sitesynthesis. აკადემიურიპროგრამა ხორციელდება Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.

152. 2022 წლის 6 სექტემბერი - საერთაშორისო პროექტი და ვორქშოფი: „ნგრევის პოეტიკა“ ; მოდერატორი სტუ-ს ასოც. პროფესორი ამსტერდამის რიტველდის აკადემიის 24 სტუდენტისთვის. წყვილი „ნაშენი / ნანგრევი“ სტუდია „არქიტექტურის პოეტიკის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. სტუ-ს პროფესორი სწორედ ამ ნიშნით იყო მოწვეული თანამშრომლობისთვის.
153. 2022 წლის 18 ოქტომბერი დასაწყისი - პროექტი - „ოზურგეთის ახალი სიცოცხლე-2022 წ.“2023 წლის 11 თებერვალ ოზურგეტის ახალი სიცოცხლის პროექტების განხილვის პირველი ეტაპი. შემდეგი განხილვა 2023 წლის ივლისი.
154. 2022 წლის 26 ნოემბერი. შემეცნებითი გასვლითი პრაქტიკა სტუდენტებისთვის ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მარშრუტით მზოვრეთი - ყინწვისი - ურბნისი.
155. 2022 წლის 23 დეკემბერი; სამეცნიერო კონფერენცია: „არქიტექტურისა და ურბანისტიკის თანამეროვე პრობლემები“.
156. 2022 წლის 18 მარტი დისტანციურ რეჟიმში განვახორციელეთ ლექციები ქ. დუბაის, მანიპალის უმაღლესი განათლების აკადემიის, არქიტეტურის და დიზაინის სკოლის (MANIPAL ACADEMY of HIGHER EDUCation Dubai Campus) სტუდენტებისთვის:
157. 2023 წლის 23 იანვარი საჯარო ლექცია თემაზე: “What does soviet era architecture means to the piople of Lithuanian?” ლექციას წაიკითხა ვილნიუსის ტექნიკური უნივარსიტეტის, არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი ლიუტაუსას ნიკროსიუს. აკადემიური პროგრამა ხორციელდება Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.
158. 2023 წლის 1-4 თებერვალი. თბილისის არქიტექტურული კვირეული TAW. კვირეულის პერიოდში გაიმართა ლექციები და სამუშაო შეხვედრები (workshops), რომელსაც გაუძღვნენ მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორები.
159. 2023 წლის 20 თებერვალს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინიის ფაკულტეტზე გაიხსნა გამოფენა: „ვირტუალური სივრცის ალტერნატივა“.
160. 2023 წლის 22 თებერვალი. ინტერნაციონალიზაცია. არქიტექტურის ფაკულტეტზე სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში ჩატარდა საჯარო ლექცია და ვორქშოფი სპეციალურად ნიდერლანდების როტფილდის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ხელმძღვანელი დავით ბოსტანაშვილი და ნიკ ახელი (Rietveil Academie; Head of architecture department)
161. 2023 წლის თებერვალს გაიგზავნა სტუდენტური პროექტები, სამაგისტრო დამამთევრებელი ნაშრომები ბარსელონაში „მის ვან დე როეს“ ყოველწლიურ საერთაშორისო კონკურსზე: YOUNG TALENT 2023 Eumies. ორივე პროექტი გადავიდა მეორე ეტაპზე. 1.ვოსკეჰატ მიკირტიჩიანი თემა: Waste Recycling Plant and educationl center Tbilisi; ხელმძღ: ასოც. პროფ. დ. ბოსტანაშვილი; ანა ნაცვლიშვილი თემა:ინოვაციების და ტექნოლოგიების ცენტრი. ხელმძღ. პროფ. ნ. იმნაძე.
162. 2023 წლის 5 და 6 აპრილს ფაკულტეტზე ჩატარდა მალტელი არქიტეტორის პროფესორ ლინო ბიანკოს საჯარო ლექციების მეორე ციკლი. თემები: 1.DE ARCHITECTURA: The relevance of Vitruvius in today’s practice of the art and science of building; 2.SUSTAINABLE DESIGN: Socio-economic and environmental aspects of traditional residential units; 3.DESIGNING FOR ALL: From a philosophical to an applied scientific approach; პროექტი განხორციელდა Erasmus+key Action 107 – international Credit Mobility ფარგლებში.
163. 2023 წლის 12 აპრილი. არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა: „არქიტექტურული კომპოზიცია“ გალერეა უნივერსში.
164. 2023 წლის 8, 10, 11, 17 მაისს პროექტი: „არქიგრაფია. კალიგრაფიის ხელოვნება არქიტექტურაში“. საავტორო მასტერკლასები: თანამედროვე ქართული კალგრაფიის ოთხი გამორჩეული ხელოვანის საავტორო მასტერკლასი: დავით მაისურაძე, გიორგი სისაური, გიო გოტგიაშვილი, ლეილა ბაღბაია.
165. 2023 წლის 21 აპრილს - სტუდენტური პროექტების გამოფენა:“არქიტექტურული გრაფიკა“.